ავტონომიის მხარდაჭერა, ზემზრუნველი აღზრდა და ფსიქოლოგიური კონტროლი, როგორც შფოთვის პრედიქტორები

სოფიო ჯოჯუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი - ნინო სხირტლაძე

თბილისი, 2023

აბსტრაქტი

ქვემოთ მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა, შეემოწმებინა კავშირები აღზრდასა და შფოთვის დონეს შორის ახალგაზრდა ზრდასრულებში. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, შეირჩა აღზრდის სამი განზომილება - ავტონომიის მხარდაჭერა, ზემზრუნველი აღზრდა და ფსიქოლოგიური კონტროლი. კვლევა ჩატარდა 18-29 წლის ასაკის 402 რესპონდენტზე (შერჩევის 51% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი). კვლევა ჩატარდა თვით-ადმინისტრირებადი კითხვარების მეშვეობით. შედეგების მიხედვით, ზემზრუნველ აღზრდასა და ავტონომიის მხარდაჭერას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე დადასტურდა ძლიერი უარყოფითი კორელაცია, ზემზრუნველ აღზრდასა და ფსიქოლოგიურ კონტროლს შორის დადასტურდა ძლიერი დადებითი კორელაცია, ხოლო ფსიქოლოგიურ კონტროლსა და ავტონომიის მხარდაჭერას შორის დადასტურდა ძლიერი უარყოფითი კორელაცია. რაც შეეხება რეგრესიულ ანალიზს, აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მოდელი ნამდვილად წინასწარმეტყველებდა შფოთვას სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე, თუმცა ერთიან რეგრესულ მოდელში აღზრდის სამი განზომილებიდან შფოთვის დონის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა მხოლოდ ზემზრუნველი აღზრდა. ავტონომიის მხარდაჭერა და ფსიქოლოგიური კონტროლი არ წინასწარმეტყველებდა შფოთვის დონეს სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე. მიღებული შედეგები, გარკვეულწილად, თავსებადობაშია არსებული კვლევების შედეგებთან (განსაკუთრებით, იმ ემპირიულ მონაცემებთან, რომლებიც არსებობს აღზრდის სტილისა და შფოთვის კავშირზე კოლექტივისტური კულტურების შემთხვევაში), რაც, თავის მხრივ, სამომავლო კვლევებისა და ზემოხსენებული საკითხის საქართველოს კულტურის ფარგლებში უკეთ შესწავლისათვის ამზადებს საფუძველს.

Abstract

The study aim focused on connections between parenting dimensions and anxiety in the young adult sample. Based on the review of the scientific literature, we focused on the three parenting dimensions - autonomy support, overprotective parenting and psychological control. Research was conducted on 402 people of ages from 18 to 29 (with 51% of the sample being female). Procedure consisted of a self-administered questionnaire/survey. Findings indicate statistically significant correlations between overprotective parenting and autonomy support (negative correlation), overprotective parenting and psychological control (positive correlation) and psychological control and autonomy support (negative correlation). According to the regression analysis' results, the model predicted anxiety at a level that was statistically significant, however according to the review of individual variables, it turned out that only overprotective parenting predicted anxiety at a level that was statistically significant. These findings, overall, are compatible with pre-existing literature and meta-analyses (especially with the findings that exist about the connection between parenting dimensions and anxiety in collectivist cultures) which can inspire future empirical research in Georgian culture.